



კოალიცია თანასწორობისთვის

ომბუდსმენი შრომითი დისკრიმინაციის დავებზე საზიანო პრაქტიკას ამკვიდრებს

ომბუდსმენი შრომითი დისკრიმინაციის დავებზე საზიანო პრაქტიკას ამკვიდრებს

□□□□□□□□ თანასწორობისთვის A ეხმიანება გოგა რაზმაძის საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილებით შრომითი დისკრიმინაციის შემთხვევებზე მკვიდრდება არასწორი პრაქტიკა, რომელიც აზიანებს არა მხოლოდ კონკრეტულ განმცხადებელს, არამედ აუარესებს დასაქმებულ პირთა შრომით მდგომარეობას.

გოგა რაზმაძეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტში მენეჯერული თანამდებობა უკავია. მან [საჯაროდ ისაუბრა](#) მის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციაზე, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ მოპყრობასა და ახსნა-განმარტების მიცემის იძულებაზე. რაზმადემ მინისტრის მოადგილეს, ალექსანდრე დარახველიძეს მიმართა, თუმცა მას რეაგირება არ მოუხდენია. სწორედ ამის შემდგომ მიმართა რაზმადემ სახალხო დამცველს და ითხოვა დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის [ანალიზიდან](#) იკვთება, რომ სახალხო დამცველმა:

- არ გამოკითხა გოგა რაზმადის მიერ დასახელებული და მონმედ მითითებული არც ერთი პირი;
- მხედველობაში არ მიიღო გოგა რაზმადის მიერ დასახელებული ფაქტები, გარემოებები და არგუმენტაცია, რომელიც სამინისტროს არაერთ განმარტებას აბათილებდა;
- განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი შეკითხვების მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაუსვა სამინისტროს;
- იხელმძღვანელა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პოზიციით დამაბუსტებელი შეკითხვების დასმის გარეშე;
- არ გაითვალისწინა გენერალურ ინსპექციაში განხორციელებულ იძულებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები;
- და საბოლოოდ - ერთი კვირის ვადაში, სრულად გაიზიარა სამინისტროს პოზიცია მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის დამატებით არგუმენტაციაზე სამინისტროს ომბუდსმენისტვის პასუხი არც კი წარმოუდგენია. უცნობია, საერთოდ გადაეგზავნა თუ არა განმცხადებლის ბოლო პოზიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ამრიგად, გოგა რაზმადის საქმეზე სახალხო დამცველის გადანყვეტილება არ ეფუძნება გარემოებების სრულყოფილ გამოკვლევას, დაუსაბუთებელი და მიკერძოებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ. მონმეების გამოკითხვის, სამინისტროსთვის კითხვების დასმისა და დოკუმენტაციის გამოთხოვის გარეშე, ომბუდსმენმა ფაქტობრივად განმცხადებელი დაავალდებულა, რომ თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები. საქმის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მსგავსი გადაწყვეტა მტკიცების ტვირთის შებრუნებაა, რაც სრულად ეწინააღმდეგება დისკრიმინაციის საქმეებზე ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობითა და პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს.

როცა მოქალაქე სამინისტროს სისტემას უპირისპირდება, ასიმეტრიულ დაქვემდებარებაშია და მრავალი მტკიცებულების დამოუკიდებლად მოპოვება არ ძალუძს, კანონი სწორედ ომბუდსმენს ანიჭებს უფლებამოსილებას, გამოკითხოს მონმეები, გამოითხოვოს და შეისწავლოს დამატებითი ინფორმაცია. სამწუხაროდ, გოგა რაბმაძის საქმეში ომბუდსმენმა ამ უფლებამოსილების განხორციელებაზე უარი თქვა და საქმე კანონით დადგენილი ნორმების სრული უგულებელყოფით განიხილა. მსგავსი მიდგომა აზიანებს მამხილებლების უფლებრივ გარანტიებსაც, რაც ასუსტებს საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის შესაძლებლობებს.

მოვუწოდებთ სახალხო დამცველს, იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით, მტკიცების ტვირთი გადაანაწილოს იმგვარად, რომ დასაქმებული არათანაბარ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს დამსაქმებელთან შედარებით და გულისხმიერებითა და გულმოდგინებით მოეკიდოს თითოეული დასაქმებულის საქმეს.

Human Rights Center

თანასწორობის მოძრაობა

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

საფარი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

უფლებები საქართველო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)